კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურად მოწყვლადი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა მხარდაჭერის პოლიტიკა

დამტკიცებულია რექტორის 2021 წლის 10 თებერვლის #0221-11 ბრძანებით

2021

1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულია შპს ,,კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტში" სოციალურად მოწყვლადი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერის მექანიზმები.

1.2. დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, უმაღლესი განათლების შესახებ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონების საფუძველზე.

1.3. დოკუმენტით გათვალისწინებული სტანდარტები და უფლებები ვრცელდება უნივერსიტეტის ყველა სტუდენტზე მათი საჭიროებების გათვალისწინებით.

2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირები და ადაპტირებული გარემო

2.1. წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (შემდგომში - ,,სსსმ") პირი ესაა პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევით, რომლის სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი) ან/და პირი, რომელიც საჭიროებს გარემოს ადაპტაციას, ალტერნატიულ სასწავლო გეგმას ან/და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას;

2.2. უნივერსიტეტი აქტიურად ზრუნავს მის ფარგლებში სსსმ პირთათვის მისაწვდომი გარემოს შექმნაზე, რომელიც სრულფასოვანი განათლების მისაღებად აუცილებელი პირობების შექმნასთან ერთად გულისხმობს ფიზიკური, ინსტიტუციური და სოციალური პირობების ერთობლიობას, რომელიც სსსმ პირს აძლევს თანაბარ შესაძლებლობას, ისარგებლოს ყველა იმ სერვისით, რომელსაც უნივერსიტეტი სთავაზობს მის სტუდენტებს.

2.3. უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი აქტებით აკრძალულია უნივერსიტეტში ნებისმიერი სახითა და ფორმით დისკრიმინაცია, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების ნიშნით. უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია სტუდენტებისა და პერსონალის მიერ თანაბარი შესაძლებლობებით სარგებლობა. ამ პრინციპებზე შექმნილი გარემო უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების სტუდენტებს თანაბარი სასწავლო პირობებით, რაც, ასევე, მოიცავს მათთვის უნივერსიტეტში სხვა ტიპის აქტივობებში თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობას გონივრული მისადაგების პრინციპის გათვალისწინებით.

2.4. უნივერსიტეტში დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმების როგორც პერსონალის, ისე სტუდენტის მხრიდან დარღვევისთვის გათვალისწინებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

2.5. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა (შენობა, აუდიტორიები, საპირფარეშოები და სხვა ფართები) ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

2.6. სსსმ სტუდენტები უფლებამოსილი არიან, სასწავლო პროცესში გამოიყენონ სპეციალური საჭიროებისთვის დამხმარე ტექნიკური საშუალებები.

3. უნივერსიტეტის ვალდებულებები სსსმ პირთა მიმართ

3.1. უნივერსიტეტი ვალდებულია აქტივობების, გეგმების, პროგრამების შემუშავების პროცესში გაითვალისწინოს უნივერსალური დიზაინის პრინციპი, რომელიც გულისხმობს პროდუქტის, გარემოს, სწავლების, პროგრამისა და მომსახურების ისეთი დიზაინს, რომელიც ყველა ადამიანს აძლევს მათზე სპეციალური ადაპტირებისა და სპეციალური დიზაინის გამოყენების გარეშე წვდომის საშუალებას. უნივერსალური დიზაინის მიდგომა არ გამორიცხავს, საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კონკრეტული ჯგუფის მიერ დამხმარე საშუალებების ან/და სხვაგვარი ხელშეწყობის გამოყენებას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სსსმ სტუდენტების უნივერსიტეტის სასწავლო და სხვა თანმდევ პროცესებში მაქსიმალურ ჩართულობას, სპეციალური საშუალებების გამოყენების მინიმიზაციით.

3.2. უნივერსიტეტი ვალდებულია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უზრუნველყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების შესაძლებლობა.

3.3. უნივერსიტეტი შესაბამისი გამოკითხვების მეშვეობით უზრუნველყოფს შესაძლებლობას, სსსმ სტუდენტებისგან და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული სხვა პირებისგან მიიღოს უკუკავშირი. მიღებული შედეგები განიხილება და გონივრული მისადაგების სტანდარტით გაითვალისწინება უნივერსიტეტის შემდგომ საქმიანობაში.

3.4. ასეთი საჭიროების არსებობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, მასთან დასაქმებული პერსონალისთვის უზრუნველყოს შესაბამისი ტრენინგები, მომზადება ან სხვა ტიპის ღონისძიებები სსსმ პირებთან დაკავშირებით შესაბამისი ცოდნისა და საჭირო უნარების შეძენის მიზნით.

4. სოციალურად მოწყვლადი პირების მხარდაჭერის მექანიზმები

4.1. უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი აქტებით აკრძალულია უნივერსიტეტში ნებისმიერი სახითა და ფორმით დისკრიმინაცია, მათ შორის, სოციალური კუთვნილებისა და ქონებრივი მდგომარეობის ნიშნებით. დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმების როგორც პერსონალის, ისე სტუდენტის მხრიდან დარღვევისთვის გათვალისწინებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

4.2. წინამდებარე დოკუმენტით განისაზღვრება სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერისა და ხელშეწყობის მექანიზმები.

4.3. ფინანსური მხარდაჭერისა და ხელშეწყობის ღონისძიებებით სარგებლობენ:

4.3.1. საქართველოს მოქალაქე სოციალურად დაუცველი პირები;

4.3.2. სსსმ პირები;

4.3.3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები;
4.3.4. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა შვილები;
4.3.5. საქართველოს მოქალაქე, მრავალშვილიანი ოჯახის წევრები;
4.3.6. საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პირები;

4.4. სტუდენტების მიერ ფინანსური მხარდაჭერის მოპოვება ხორციელდება რექტორის ბრძანების საფუძველზე, უნივერსიტეტის მიერ ყოველწლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ოდენობის ფარგლებში, რომელიც თანაბრად გადანაწილდება ფინანსური მხარდაჭერის მიღების ყველა მსურველზე, რომელთა განცხადებებით შესაძლებელი იქნება მათი წინამდებარე წესით გათვალისწინებულ წინაპირობებთან შესაბამისობის დადგენა.

4.5. ფინანსური მხარდაჭერის მიღების მსურველმა პირმა, განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს, რომელიც უნდა მოიცავდეს წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ საფუძველზე მითითებას და შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტებს.

4.6. უნივერსიტეტის რექტორი, ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში სტუდენტებისათვის შესაბამისი სახსრების მინიჭებამდე, არანაკლებ 1 თვით ადრე, უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოფს აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

4.7. უნივერსიტეტში, შესაძლებელია, არსებობდეს სხვა სახის ფონდები ან/და პროგრამები, რომლებიც გამჭვირვალეობისა და სამართლიანობის პრინციპებით მოახდენენ უნივერსიტეტის სტუდენტების ფინანსურ მხარდაჭერას და ხელშეწყობას.

5. საერთაშორისო სტუდენტების მხარდაჭერა გარემოსთან ინტეგრაციაში

5.1. უნივერსიტეტში საერთაშორისო სტუდენტების გარემოსთან ინტეგრაციაში ხელშეწყობაზე და მხარდაჭერაზე ზრუნავს სტუდენტური სერვისებისა და მხარდაჭერის სამსახური.

5.2. უნივერსიტეტის საერთაშორისო სტუდენტების გარემოსთან ინტეგრაციაში ხელშეწყობისა და მხარდაჭერის მიზნით, სამსახური უზრუნველყოფს:

5.2.1. სტუდენტების კონსულტირებას;
5.2.2. უნივერსიტეტში სტუდენტთა გაცნობისა და დაახლოების მიზნით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვასა და ჩატარებას.
5.2.3. სტუდენტების ინფორმირებას ადგილობრივ სოციალურ აქტივობებთან დაკავშირებით და მათში ჩართულობის ხელშეწყობას;